

ბიუროკრატის ირონიული რეპრეზენტაცია
გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საქართველოს სსრ-ის
80-იანი წლების ლიტერატურაში
(ფოლქერ ბრაუნის *რომანი ჰინცესა და ქუნცეს შესახებ*
და რეზო ჭეიშვილის *ცისფერი მთები*)

ლევან ინაური

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე შედარებითი
ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: უცხო ენათა ფილოლოგია, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან ცაგარელი, პროფესორი, დოქტორი,

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2016

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლევან ინაური 25.06.2016.

აბსტრაქტი

1980-იან წლებში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საქართველოს გარკვეული საერთო კულტურული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი პრობლემები გააჩნდა, რაც ცხადია ლიტერატურაზეც აისახებოდა. წინამდებარე ნაშრომი ეთმობა ბიუროკრატიული ელემენტების კვლევას ამავე პერიოდის გდრ-ისა და საბჭოთა საქართველოს ლიტერატურაში. უფრო კონკრეტულად კი განხილულია ორი რომანი: გერმანელი დრამატურგის, პოეტისა და მწერლის, ფოლქერ ბრაუნის *რომანი ჰინცესა და ქუნცეს შესახებ* (1985 წ.) და რეზო ჭეიშვილის *ცისფერი მთები* (1983 წ.). კვლევის მეთოდად გამოყენებულია კომპარატივისტიკის შედარების ტიპოლოგიური ხერხი, მოკლედია მიმოხილული გდრ-ისა და საქართველოს სსრ-ის 70-80-იანი წლების მწერლობის ისტორიული კონტექსტი.

რომანების ანალიზის საფუძველზე გამოიყო პერსონაჟთა მსგავსებები და განსხვავებები, მათ ურთოიერთდამოკიდებულებაზე დაკვირვების საფუძველზე გამოაშკარავდა ირონია, რომლის გამოყენებითაცაა ბიუროკრატია რეპრეზენტირებული საკვლევ ნაწარმოებებში, ასევე წარმოჩნდა პროტექციის თავისებურებები, სამოქმედო სივრცის დატვირთვა და ქალის უფლებების საკითხის გააზრების სპეციფიკა კულტურულად განსხვავებულ ორ სხვადასხვა სახელმწიფოში.

კვლევამ აჩვენა გდრ-ისა და სსრკ საქართველოს შორის 80-იან წლებში არსებული კულტურული და პოლიტიკური მსგავსებები, რომლებიც აიხსნება მათში დამკვიდრებული სოციალისტური მმართველობითი ფორმით. წარმოჩენილი განსხვავებები კი განპირობებულია კულტურული პარადიგმებით.

საკვანძო სიტყვები: ბიუროკრატია, ირონია, გდრ, საქართველო, ბრაუნი, ჭეიშვილი

Abstract

In 1980s German Democratic Republic and Georgia had similar cultural and political difficulties and of course, it also reflected on literature.

The thesis is the study of bureaucratic features in the same period GDR and Soviet Georgian literature. There is analyzed two novels: *Hinze-Kunze-Roman* by Volker Braun (1985) and *Blue Mountains* by Rezo Cheishvili (1983). As the research method there is used comparative typological mode. There is short review about historical context of 70-80s GDR and Soviet Union literary processes.

Analyze of novels showed similarities and differences of characters, according to their relationships has been emerged irony and by using of this irony there is represented bureaucracy in research novels. There was also emerged features of patronage, the meaning of action space and the specific of women`s rights theme in two culturally differentiated countries.

The research showed cultural and political similarities between GDR and Soviet Georgia in 80s and these similarities can be explained because of socialistic form of government in both countries, while the reason of differences is cultural paradigm.

Key words: Bureaucracy, GDR, Georgia, Braun, Cheishvili.